საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *რევაზ ნადარაიას* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 19 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 19 | 20 |
| წერის უნარი | 19 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 15 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 |
| პროფესიული აქტივობები | 4 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 93 | 100 |

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## ზაზა ხარებავა

### რევაზ ნადარაიას შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის რევაზ ნადარაიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის $36^3$ მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტით, $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის $36^3$ მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

**1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:**

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

**2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:**

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

**3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

**4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება<br>კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>დასაბუთება</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ რევაზ ნადარაიას კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.<br><br>1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:<br><br>კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, არის კეთილსინდისიერი და გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. კანდიდატი კეთილსინდისიერად, ღიად და გამჭვირვალედ, ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, კერძოდ: რევაზ ნადარაიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 – 2020 წლების განმავლობაში რევაზ ნადარაიას რაიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.<br>კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას პატიოსან, კეთილსინდისიერ, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიან, პრინციპულ, სიმართლისმოყვარე, შეუვალ, გულწრფელ, კოლეგიალურ და ტოლერანტულ პიროვნებად ახასიათებენ.</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:**<br><br>გასაუბრების პროცესში კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყველა საკითხის ირგვლივ იმსჯელა ობიექტური, დამოუკიდებელი მიდგომების შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. ასევე რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი, ტოლერანტული, თავისუფალი ყოველგვარი ზეგავლენისგან.<br>მაქვს საფუძველი დავასკვნა, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, აქვს უნარი იყოს პრინციპული, იკვეთება, რომ გააჩნია პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და შეუწყნარებელი მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. მოძიებული ინფორმაციით დასტურდება რომ კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი. მოწოდებული ინფორმაციით კანდიდატი რ. ნადარაია არის ნადარაიათა საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრი.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:**<br><br>კანდიდატის პიროვნული და პროფესიული თვისებების შეფასებისას ვიხელმძღვანელე წარმოდგენილი რეკომენდატორების აზრით, რომელთა |

| | | |
|---|---|---|
| | | თანახმად რევაზ ნადარაია გამოირჩევა ზრდილობით, თავდაჭერილობით, სიდინჯით, თავშეკავებულობით, თანაგრძნობთ, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით, ახასიათებს ეთიკური ნორმების დაცვის მაღალი ხარისხი და სხვა. გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას.<br>კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ რევაზ ნადარაიას მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი საინფორმაციო ბანკის მონაცემებით, კანდიდატს საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.<br>შესაბამისად მიმაჩნია, რომ კანდიდატის კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობის სტანდარტი, მისი ქცევა და იმიჯი, შესაბამისობაშია მოსამართლის მაღალ წოდებასთან.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**<br><br>კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში გამოირჩევა კარგი რეპუტაციით. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები არ მიუთითებენ კანდიდატის ისეთ სისუსტეებსა ან ნაკლოვანებებზე, რაც მისი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორად განიხილებოდა. ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა ინფორმაციები კანდიდატის მიერ განხილული საქმეებისა და განცხადებების |

| | | |
|---|---|---|
| | | თაობაზე, რომლებიც გაკეთებულია მისი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ყოფნისას. თუმცა აღსანიშნავია, რომ კანდიდატის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადასტურებული ფაქტი, ან ობიექტური გარემოება არ გამოვლენილა.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**5. ფინანსური ვალდებულება:**<br><br>კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მის მიმართ უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მისი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.<br>მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას, არ გამოვლენილა.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br>ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. |
| მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით | | | **დასაბუთება** |
| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა | |
| **სამართლის ნორმების ცოდნა** | 19 | 20 | კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით და მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობით.<br>კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლოს განაჩენი: - ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის განაჩენი, საქმე N1/145-2013, (276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის ბრალდების საქმე).<br>კანდიდატის საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ რევაზ ნადარაიამ გასაუბრების პროცესში გამოავლინა სამართლის ნორმების სათანადო ცოდნის დონე. გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს ეროვნული კანონმდებლობას, როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო მიმართულებით, სამართლის პრინციპებს, ადამიანის უფლებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას. მან ძალიან კარგად და სწორი მიმართულებებით ისაუბრა სისხლის სამართლის სფეროდან გამომდინარე საკითხებზე. კანდიდატმა ისაუბრა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სასამართლოს მიერ გამოსაყენებელ ტესტებთან დაკავშირებით, ასევე იმსჯელა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის მნიშვნელობასა და აღნიშნული მუხლით დაცულ სფეროზე, ისაუბრა გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენის ურთიერთ მიმართებაზე. იყო შემთხვევა, როცა კანდიდატმა ვერ გაიხსენა შრომის საერთაშორისო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ორგანიზაციის რეკომენდაციები და უახლოესი ცვლილებები შრომის კოდექსში. კანდიდატმა იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და სხვა.<br>გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.<br>გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და იყენებს მათ თავის საქმიანობაში. კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული, თუმცა წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რაიმე პრეცედენტი მოყვანილი არ არის.<br>რევაზ ნადარაიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის“ კრიტერიუმში რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით. |
| **სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია** | **19** | **20** | კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების ანალიზით და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მსჯელობა თანმიმდევრულად და დამაჯერებლად არის განვითარებული. მისი დასაბუთების ხარისხი სრულად უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ისეთი აუცილებელი ელემენტის, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.<br>აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო კომპეტენტური და სამართლებრივად არგუმენტირებული. იგი აზრს ავითარებს გამართულად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. შემიძლია ვთქვა, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტისათვის სწორი სამართლებრივი არგუმენტაციის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.<br>კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება: - 2009 წლის 18 ივნისიდან განწესდა ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. 2010 წელს დაინიშნა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. - 2010 წელის 1 ნოემბრიდან დაინიშნა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. - 2016 წლის 5 მარტიდან განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარედ. - 2017 წლის 25 მაისიდან განწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. შესაბამისად კანდიდატს გააჩნია ხანგრძლივი სამოსამართლო გამოცდილება.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **წერის უნარი** | 19 | 20 | კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით და შედეგად ვასკვნი, რომ წერისასა რევაზ ნადარაია აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში ლოგიკური თანმიმდევრობით ავითარებს მსჯელობას და სათანადო სამართლებრივ ანალიზზე დაყრდნობით, ასაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებას. აქვს წერის ადვილად აღქმადი მანერა.<br>რეკომენდატორებიც უთითებენ, კანდიდატი წერილობით დოკუმენტებში სწორად აყალიბებს და აანალიზებს საქმის გარემოებებს. ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად ასაბუთებს გადაწყვეტილებას.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის მეორე პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერის უნარის" კრიტერიუმში რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით. |
| **ზეპირი კომუნიკაციის უნარი** | 15 | 15 | ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად, ამავდროულად დამაჯერებლად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და მიმღებლობა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს შესწევს უნარი თანმიმდევრულად და ლაკონურად გამოსცეს აზრი. ასევე შეუძლია სხვისი აზრის მათ შორის განსხვავებული მოსაზრების მოსმენა.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ კრიტერიუმში რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით. |
| **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** | 14 | 15 | კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ რომ რევაზ ნადარაია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, გულმოდგინე და შრომისმოყვარე. აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, დისციპლინირებული პიროვნებაა. მას შესწევს სასამართლო სხდომებს სათანადოდ წარმართვის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ავლენს კორექტულობას. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის ორგანიზებული, პუნქტუალური, კოლეგიალური, მიზანმიმართული, შრომისმოყვარე. შესწევს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი, აქვს სათანადო მენეჯერული უნარ-ჩვევები.<br>მოძიებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ მოსამართლეს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 66,7%, ხოლო ვადის დარღვევით 33,3%. ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 88,9% მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით 11,1%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 80%, ხოლო შეიცვალა 20%.<br>საანგარიშო პერიოდში (1002 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 76 საქმე.<br>აღსანიშნავია, რომ რევაზ ნადარაია საანგარიშო პერიოდში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ჩვეული დატვირთულობით საქმეებს არ განიხილავდა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შეიძლება დავასკვნა, რომ კანდიდატს გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას ძირითადად პროდუქტიული და სწრაფია, რაც შესაბამისად ვლინდება საქმის განხილვის და გადაწყვეტილებათა მომზადების დადგენილი ვადების დაცვაში, რაც ასევე კანდიდატის შესაბამის მენეჯერულ თვისებებზე მეტყველებს.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში" კრიტერიუმში რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით. |
| **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა** | **3** | **5** | აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით.<br>რევაზ ნადარაიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და და წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. კანდიდატის შესახებ მოძიებულ მასალებში წარმოდგენილია ინფორმაცია მისი მრავალრიცხოვან სასწავლო პროფესიულ ღონისძიებებში (ძირითადად სემინარები) მონაწილეობის შესახებ, თუმცა, კანდიდატის პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.<br>წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ კრიტერიუმში რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 3 (სამი) ქულით. |
| **პროფესიული აქტივობა** | **4** | **5** | პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე პროფესიული აქტივობის კუთხით კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით.<br>კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, შემდეგ თემებზე: ადამიანის უფლებები; სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის პროექტი; სამუშაო ტექნიკა სამოქალაქო პროცესში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, აგებულება, დასაბუთება; ადამიანის უფლებები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები; საარჩევნო კანონმდებლობა; სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და სასამართლოს გადაწყვეტილებების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესები; ახალი საგადასახადო კოდექსი და სხვა მრავალი.<br>2016 წლის 5 მარტიდან რევაზ ნადარაია განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარედ. 2017 წლის აპრილიდან 2020 წლის ნოემბრამდე იგი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2019 წლის ნოემბრიდან კანდიდატი არის საპროკურორო საბჭოს წევრი.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნა, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი პოზიცია და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, გააჩნია ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარები და ა.შ. თუმცა, კანდიდატი არ ეწევა საქმიანობას სამეცნიერო ან პედაგოგიური მიმართულებით.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის“ კრიტერიუმში |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | რევაზ ნადარაია უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით. |
| ქულათა ჯამი | 93 | 100 | |

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021 წ.